# არასოდეს შეანჯღრიო ბავშვი !

## ჩემი შვილი გაუთავებლად ტირის!
## რას ვაკეთებ არასწორს?
## ა რ ა ფ ე რ ს !
## ტირილი ნორმალურია
## ტირილით ბავშვი შენთან ურთიერთობს.



ყველა ბავშვი განსხვავებულია, თუმცა ყოველი მათგანი ტირის! ზოგი უფრო მეტს, ზოგი უფრო ნაკლებს. ტირილი ზოგჯერ სულ რამდენიმე საათს გრძელდება, შენჯღრევით გამოწვეული მძიმე შედეგები კი - მთელი ცხოვრება.

**ჩვილის უწყვეტი ტირილი ხშირად ემოციურად გადაღლილი მშობლის იმედგაცრუებას იწვევს.**

## გახსოვდეს,

**მარტო შენ არ განიცდი ამას. გაითვალისწინე ეს რჩევები და არასდროს შეანჯღრიო ბავშვი,**

**ნჯღრევა სასიკვდილოა!**

### ტირილი ბავშვის ნორმალური განვითარების ნაწილია.

ტირილი მატულობს 2 - 4 თვის ბავშვებში;
5 თვიდან ბავშვის ტირილი საგრძნობლად იკლებს;
თუ ყველაფერი სცადე ბავშვის დასამშვიდებლად და ის მაინც ტირის, ეს შენს ცუდ მშობლობაზე არ მიუთითებს; გახსოვდეს, ყველაფერი მოგვარდება და მდგომარეობა აუცილებლად გაუმჯობესდება.

### გამოიკვლიე ტირილის მიზეზები და სცადე დაამშვიდო ბავშვი:

- შეამოწმე ქირვეულობის, უგუნებობის მიზეზები: სველი საფენი, კბილების ამოჭრა, სიცხე, მოჭერილი სამოსი, ტემპერატურა;
- შეიძლება ბავშვს უბრალოდ შია;
- შესთავაზე "მატყუარა";
- უმღერე ან ესაუბრე;
- გაუკეთე მსუბუქი მასაჟი ზურგზე, მუცელზე;
- გაიყვანე სასეირნოდ.

**ტირილი ყოველთვის არ მიუთითებს პრობლემაზე.**
**დაურეკე ექიმს, თუ ფიქრობ, რომ ტირილის მიზეზი ავადმყოფობაა.**



## დაისვენე! არ უარყო შენი უარყოფითი გრძნობები.

- როცა გრძნობ ბრაზს, იმედგაცრუებას და სტრესს, შეისვენე!
- გახსოვდეს ეს ყველაფერი დროებითია და აუცილებლად გაუმჯობესდება!
- იფიქრე იმაზე, თუ როგორ გიყვარს შენი პატარა!
- დაჯექი, დახუჭე თვალები და ოცჯერ ჩაისუნთქე ღრმად!
- გახსოვდეს, შენ არ ხარ მარტო!
- დახმარებისთვის მიმართე მშობლებს, მეგობარს, მეზობელს და ბავშვთა დახმარების ხაზს!

## არსებობს უზარმაზარი დადებითი ძალა – შენი პატარა!

- არ არის აუცილებელი, იყო იდეალური;
- არ არის აუცილებელი, შენი შვილი იყოს იდეალური;
- შენი შვილის დღევანდელი საქციელი არ განაპირობებს მის ხვალინდელ პიროვნებას;
- შენი დღევანდელი საქციელი არ განაპირობებს შენს ხვალინდელ პიროვნებას;
- გიყვარდეს ისეთი, როგორიც არის.





# “ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება”
## (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 6)

აშშ-ს საელჩო საქართველოში
The U.S. Embassy in Georgia

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი

**ბავშვთა დახმარების ხაზი 116 111**

თბილისის ბავშვთა დახმარების ცენტრი
საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდის ცენტრალური ოფისი

მისამართი: ქ. თბილისი, ედიშერ მაღალაშვილის ქ. № 4, ბინა № 1
ტელ: 2 421 422
ფაქსი: 2 421 423

ბათუმის ბავშვთა დახმარების ცენტრი
მისამართი: ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. № 2ა
ტელ: 225 830

ელ-ფოსტა: info@phmdf.ge
ვებ. გვერდი: www.phmdf.ge